N 1771/02 20.12.2023

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #23-78

თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, ს/კ:205390520, (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი მიშელაძის სახით, და, მეორეს მხრივ, შპს ,,ინტელექტ-აუდიტი'' ს/კ: 404906973, (SARAS-F-583489) წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე გაჩეჩილაძის სახით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების - - SUZUKI S-X4 S-CROSS სარეგისტრაციო ნომრით OO172GG (გამოშვების წელი 2015) და SUZUKI S-X4 S-CROSS სარეგისტრაციო ნომრით OO173GG (გამოშვების წელი 2015) შეფასების აუდიტორული მომსახურების (CPV: 79212000) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებაა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა. მომსახურების გაწევა მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა #51ა.

4.1.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

4.2.1. მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად და სრულად ანაზღაურება.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

4.3.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.4.1. მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

4.5. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ მეორე მხარის კომერციული კონფიდენციალური საიდუმლო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განსაზღვრულია სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი მოადგილე მამუკა ცაგარეიშვილი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მამუკა ცაგარეიშვილი.

7. მოწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება;

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ასეთი გარემოებების დადგომისა და მათი ხანგრძლივობის ფაქტი დამოწმებულ უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების, ანდა ორგანიზაციების მიერ გაცემული დოკუმენტებით.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა - შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას

ბ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით

გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია თავისი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ წერილობით შეატყობინოს მიმწოდებელს არანაკლებ 1 თვით ადრე.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო
ფაქტ. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N51ა
ს/კ 205390520

სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი

შპს ინტელექტ-აუდიტი
მის: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N62ბ
ს/კ: 404906973
ტელ: 598 58 88 14

საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი:
GE17TB7630136080100002

გიორგი მიშელაძე
თავმჯდომარე

ივანე გაჩეჩილაძე
დირექტორი

Ivane Gachechiladze
Digitally signed by Ivane Gachechiladze
Date: 2023.12.20 16:10:04 +04'00'

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე
სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

Legal Entity of Public Law – The National Agency for Sustainable Land Management and Land Use Monitoring
Digitally signed by Legal Entity of Public Law – The National Agency for Sustainable Land Management and Land Use Monitoring
Date: 2023.12.20 16:21:28 +04'00'